პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 4 ნოემბერი, 1944 წ. № 223 (7176). ფასი 20 კაპ.

კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მიეცით ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი სურსათი და ნედლეული მრეწველობისათვის! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და წითელი არმიის ფონდში გეგმის გადამეტებით პურის ჩაბარებისათვის! გაუმარჯოს საბჭოთა გლეხობას!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის.

სწრაფად და მაღალხარისხოვნად დავამთავროთ საშემოდგომო თესვა

ჩვენმა მშობლიურმა წითელმა არმიამ უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით ახალი ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა. გერმანული ფაშისტი დამპყრობლები განდევნილი არიან ჩვენი დიადი სამშობლოს ფარგლებიდან. საბჭოთა ჯარები უკვე შეიჭრნენ აღმოსავლეთ პრუსიაში და მტერს მისსავე ტერიტორიაზე ანადგურებენ. მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს ამ უდიდესი წარმატებებით. კოლმეურნე გლეხობა, ისევე როგორც მუშათა კლასი და საბჭოთა ინტელიგენცია, ამ წარმატებების საპასუხოდ კიდევ უფრო აძლიერებს დახმარებას ფრონტისადმი.

ბრწყინვალე დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს საქართველოს კოლმეურნეები ხვდებიან შესანიშნავი წარმატებებით. საქართველომ შეასრულა პურის ჩაბარებისა და ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმები. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები ახალი შრომითი მამაცობით უპასუხებენ. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა, ვალდებულება იკისრეს 20 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით ჩაბარონ სახელმწიფოს 500 ტონა თამბაქო და მოუწოდეს მეთამბაქოობის რაიონების კოლმეურნეობებს მიბაძონ მათს მაგალითს. ამ შესანიშნავმა თაოსნობამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც უკვე შეასრულეს თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა, ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მისცენ სახელმწიფოს 100 ტონა თამბაქო. სამშობლოს მხურვალე აღფარვულითა და გმირი წითელი არმიისადმი დახმარების გაძლიერების სურვილით გამსჭვალული კოლმეურნეები დაუღალავად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში, რომ წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უნვ მოსავალს.

1945 წელს მაღალი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლა ნიშნავს იმას, რომ ხარისხოვნად შევასრულოთ საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმა. საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად თბილისის, დუშეთის, გორის, ახალქალაქის, თიანეთისა და ორჯონიკიძის რაიონებმა თესვა უკვე დაამთავრეს. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებით, 1 ნოემბრისათვის ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დათესილი იყო 198.776 ჰექტარი. უკანასკნელ ხანს თესვის ტემპები გაძლიერდა. მაგალითად, ოქტომბრის მეხუთე ხუთდღიურში დაითესა 23.585 ჰექტარი, მეექვსე ხუთდღიურში კი — 34.579 ჰექტარი. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ტემპები დამაკმაყოფილებელი იყოს. საშემოდგომო თესვის გადამწყვეტი მთელი რიგი რაიონები თესვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩნენ. 1 ნოემბრისათვის სიღნაღის რაიონს თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 56,2 პროცენტით, გურჯაანის რაიონს — 58,1 პროცენტით, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს — 56,8 პროცენტით. არადამაკმაყოფილებელია თესვის ტემპები წითელწყაროს, ბორჯომის, ბორჩალოს, ბოლნისის, ხაშურის რაიონებში.

დღეები სწყვეტენ წარმატებას თესვის გეგმის შესრულებაში. ამიტომ პარტიის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოების აღმასკომები მოვალეები არიან გადამჭრელი ზომები მიიღონ ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსასწორებლად.

თესვის გეგმა უნდა შესრულდეს აგროტექნიკურ მოთხოვნათა სრული დაცვით. ადგილებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგან ამას ივიწყებენ და უხეშად არღვევენ აგრონომიულ წესებს. სოფელ ერედის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში სტალინირის მტს-მა 60 ჰექტარი მიწა 10-14 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნა, ნაცვლად ნორმალური 20-22 სანტიმეტრისა. წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ 40 ჰექტარ ყანაში თესლის 20-25 პროცენტზე მეტი დაუფარავად იყო დატოვებული. დუშეთის რაიონის სოფელ გრიგოლაანთ-კარის საქართველოს სსრ მიწსახკომის სახელობის კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა გამოთესვის ნორმების შემცირებას. აგროტექნიკის წესების დარღვევისა და შეუწყობარელი გამარტივების ანალოგიური ფაქტებია წითელწყაროს, შირაქის, მცხეთის, ქსუისის, გურჯაანის მტს-ების ცალკეულ სატრაქტორო ბრიგადებშიც.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ზოგი რაიონის, განსაკუთრებით კახეთის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოები არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ თესვას, სათანადოდ არ აფასებენ იმ დიდ მნიშვნელობას, რაც თესვის აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებას ენიჭება საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პირველ ყოვლისა საჭიროა ხვნა-თესვის ხარისხზე სისტემატური კონტროლის დაწესება, ტრაქტორების შეუფერხებელი მუშაობის მოწყობა. უნდა უზრუნველყოთ ტრაქტორების ორ ცვლად მუშაობა. კოლმეურნეობათა მთელი მუშასაქონელი გადავიყვანოთ ხვნა-თესვაზე. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დააწესეს თესვის ხუთდღიური დავალება რაიონების მიხედვით. ეს დავალება მტკიცედ უნდა შეასრულოთ.

ახლოვდება საყოველთაო - სახალხო დღესასწაული—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი. ამ დიად თარიღს საბჭოთა ხალხი ეგებება ბრწყინვალე წარმატებებით. მტერი ზედიზედ განიცდის მარცხს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განადგურებული. საბოლოო გამარჯვება თავისთავად არ მოვა. იგი ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ. ომის ამ გადამწყვეტ პერიოდში უფრო მეტად დავძაბოთ ჩვენი ძალები, მეტი ნაყოფიერებით ვიმუშაოთ, ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება. **უახლოეს დღეებში და მაღალხარისხოვნად დავამთავროთ საშემოდგომო თესვა ყველა კოლმეურნეობაში.** ეს იქნება საქმით პასუხი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო მოწოდებებზე.

საქართველოს მტს-ებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა

საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, რომლებიც საოქტომბრო ვალდებულებებს ანაღდებენ, ვადაზე ორი თვით ადრე 100,2 პროცენტით შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა ხვნაზე გადაყვანით 400 ათას ჰექტარზე მეტს შეადგენს.

წლიური გეგმის შესრულებაში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ასურეთის, შულავრის, ბორჩალოს, წითელწყაროსა და მთელ რიგ სხვა მტს-ებს.

საშემოდგომო სატრაქტორო სამუშაოები გრძელდება. (საქდესი).

ღიჯვის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მუშაკების კრება

შესდგა ლიტვის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მუშაკების კრება, რაც პირველია ვილნიუსის განთავისუფლების შემდეგ.

კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ლიტვის სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის ამხ. ეუგენდას მოხსენება ლიტვის სახალხო მეურნეობის აღდგენაში მეცნიერებათა აკადემიის ამოცანების შესახებ. მომხსენებელი შეეხო აკადემიის მუშაობის უახლოეს გეგმებს—ლატვური ენის ენციკლოპედიის გამოცემას, სამეცნიერო ჟურნალების გამოშვებას, სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აღდგენას.

კრებაზე გამოვიდნენ აკადემიკოსები, პროფესორები, მწერლები. ყოველმხრივი და აქტიური განხილვის შედეგად დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია აკადემიის, მისი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის ფართოდ გაშლისაკენ. (საკდესი).

ნოვგოროდში გაიხსნა რუსეთის ათასი წლისთავის ძეგლი

ძველ რუსულ ქალაქ ნოვგოროდში დიდი დღესასწაულია—ზეიმით გაიხსნა რუსეთის ათასი წლისთავის აღდგენილი ძეგლი.

16 მეტრზე მეტი სიმაღლის ძეგლი კვლავ აღმართა ჭაღარა ნოვგოროდის კრემლის კედლების თავზე. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ბარბაროსულად წაბილწეს შესანიშნავი ნაგებობა, რომელიც რუსეთის სიდიადის სიმბოლოს წარმოადგენს. ძეგლის 109 ფიგურა ჩამოგდებული იყო კვარცხლბეკიდან და მოედანზე ეყარა. ამჟამად მთელი ეს ფიგურები თავის ადგილას არის დადგმული. შეადგა ძეგლის აღდგენისადმი მიძღვნილი მიტინგი. დიდი აღფრთოვანებით მიღებულ იქნა ამხანაგ სტალინისადმი მისასალმებელი წერილი.

რუსეთის ათასი წლისთავის ძეგლი აღდგენილია. გავა ცოტაოდენი დრო და ნანგრევებიდან და ფერფლიდან აღორძინდება რუსეთის დიდების ძველი ქალაქი ნოვგოროდი. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

3 ნოემბრის განმავლობაში აღმოსავლეთ პრუსიაში ქალაქ გოლდაპის ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს იგერიებდნენ და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ბუდაპეშტის მიმართულებით, მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა, ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ, ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ტოსეგი, ერკენი, დიონი, ალშოდაბაში, უიხარტიანი, შარი, ალშონემედი, ბუდი, სალკსენტმარტონი, დუნავეჩე და რკინიგზის სადგურები ტოსეგი, მიკებუდა, ერკენი, ალშოდაბაში, ინარჩ-კაკუჩი, დუნავეჩე.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

2 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 38 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 11 თვითმფრინავი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში, ქალაქ გოლდაპის რაიონში, მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდმა ძალებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. გერმანელები, რომლებმაც ერთდროულად შემოგვიტიეს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ვარაუდობდნენ, რომ მოუმზადებელს მოუსწრებდნენ საბჭოთა ნაწილებს და მარწუხში მოიმწყვდევდნენ მათ. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები. ჩვენი ქვეითები და არტილერისტები ყველა სახის იარაღის ცეცხლით შეხვდნენ ჰიტლერელებს და აიძულეს ისინი უკან დაეხიათ. მალე მოწინააღმდეგემ იერიშები განაახლა. ერთ უბანზე გერმანელების ტანკებისა და ქვეითი ჯარის ჯგუფი სოლივით შემოიჭრა საბჭოთა ჯარების განლაგებაში. მტრის ჯგუფი არტილერიისა და გვარდიის ნიმუსტყორცნთა მძლავრი ცეცხლით სავსებით მოსპობილ იქნა. ბრძოლის ველზე დარჩა ჰიტლერელთა ბევრი გვამი, ათობით დამწვარი და დამსხვრეული გერმანელთა ტანკი. სხვა უბანზე გერმანელთა ტანკები და მეავტომატეები ჩვენს პოზიციებს მოუახლოვდნენ. ოფიცერ ბურდას გვარდიულმა საარტილერიო ბატარეამ სროლა ასტეხა და ცეცხლი წაუკიდა მოწინააღმდეგის 3 ტანკს. გერმანელ მეავტომატეებს მსხვრევადი ყუმბარები დაეშინეთ და მძიმე ზარალი მიეაყენეთ.

* * *

ბუდაპეშტის მიმართულებით, მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა, ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. გერმანელები და უნგრელები ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ გადაეღობონ საბჭოთა ჯარებს ბუდაპეშტის გზა და ბრძოლაში გამოიყენონ მთელი არსებული რეზერვები — მცველი ნაწილები, ზურგის გარნიზონები და სხვადასხვა რაზმები. ამავე დროს მოწინააღმდეგე ფრონტის სხვა უბნებიდან ხსნის ქვეითს ჯარს, არტილერიას, ტანკებს და სასწრაფოდ გადაჰყავს ისინი ბუდაპეშტის რაიონში. მაგრამ, ყოველი ღონისძიების მიუხედავად, მტერმა ვერ მოახერხა ჩვენი ჯარების წინსვლის შეჩერება. ნ შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც კეჩკემეტ-ბუდაპეშტის გზატკეცილის გასწვრივ უტევენ, გააფთრებულ ბრძოლაში გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და 30 კილომეტრამდე წაიწიეს წინ. დაკავებულია ბუდაპეშტიდან 15 კილომეტრზე მდებარე დიდი დასახლებული პუნქტი ალშონემედი. სხვა ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც მდინარე დუნაის აღმოსავლეთ ნაპირის გასწვრივ უტევენ, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მოწინააღმდეგე, რომლიც საბჭოთა ქვეითი ჯარისა და ტანკების დარტყმების გამო უკან იხევს, დიდძალ იარაღსა და სამხედრო ქონებას სტოვებს გზებზე.

* * *

ქალაქ პულტუსკის სამხრეთით გერმანელთა ორმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა ბრძოლით დაზვერვა მოახდინა. ჩვენმა მეწინავე ქვეგანაყოფებმა ზედიზედ დღის ბოლოს საბჭოთა მებრძოლებმა კონტრდარტყმით უკუაქციეს გერმანელები. ბრძოლის ველზე დათვლილია ჰიტლერელთა 340 გვამი. დაზიანებულია გერმანელთა 4 ტანკი და 3 თვითმავალი ქვემეხი.

* * *

თვითმფრინავის ეკიპაჟმა პოდპოლკოვნიკ ბარზოვის მეთაურობით (წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი) ბალტიის ზღვაში ტორპედი მოარტყა და ჩასძირა მოწინააღმდეგის 3 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

* * *

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტზე წითელი არმიის ჯარების მხარეზე გადმოვიდა გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ჯგუფი. გადმოსულმა გერმანელთა 21-ე ავიაციაველ დივიზიის ობერ-ლეიტენანტმა ვოლფჰანგ ნ. განაცხადა: „ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა იციან, რომ არმიების ჩრდილოეთი ჯგუფი მოწყვეტილია გერმანიას და ზურგთან სახმელეთო კავშირი აღარა აქვს. ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი ფიქრობს, რომ ბალტიისპირეთში ჩარჩენილი გერმანელთა ჯარები მოსპობილი იქნებიან ისევე, როგორც ლიკვიდირებულ იქნენ გერმანელთა დივიზიები ყირიმში. სარდლობა ცდილობს დაუმალოს ჯარისკაცებს საქმის ნამდვილი ვითარება. ამას წინათ არმიის სარდლმა დაგზავნა სიღიუმლო ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო შემდეგი: „საჭიროა არ არის იმის კითხვა, თუ როგორ მოხდა ეს, არ უნდა ვიხეტიალოთ უკან, არ უნდა ვცდილობდეთ იმის გამორკვევას, თუ რა მოხდება მომავალში. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ—შევინარჩუნოთ დაკავებული პოზიციები 1945 წლის მაისამდე“. მე დავწერშუნდი, რომ ჩვენ გაზაფხულამდე ვერ მივაღწევთ დაკრახი არ აგვცდება“.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 390-ე პოლკის ობერ-ეფრეიტორმა ალოიზ შტოლცმა განაცხადა: „21 ოქტომბერს პოდპოლკოვნიკმა ხარმსმა მწყობრის წინ წაგვიკითხა ბრძანება პოლკისადმი. ბრძანება ასეთ წინადადებას იძლეოდა: ყოველი ათმეთაური მოვალეა ადგილზევე დახვრიტოს ჯარისკაცი, რომელიც თავის პოზიციას დაუტოვებს. თუ ათეულის მეთაური ამ ბრძანებას დაარღვევს, იგი უნდა დახვრიტოს ასეულის მეთაურმა, ბატალიონის მეთაურს უფლება ენიჭება დახვრიტოს ასეულის მეთაური, რომელიც ჯარისკაცებს ნებაზე მიუშვებს. იმ ჯარისკაცებს, რომლებსაც თავიანთი ქვეგანაყოფის ფარგლებს გარეთ დააკავებენ, დაუყოვნებლივ მიიყვანენ პოლკის შტაბში. იქ ყოველი მეხუთე მათგანი დახვრეტილ იქნება. ამის შემდეგ ხარმსმა გამოაქვეყნა დახვრეტილ ჯარისკაცთა პირველი ჯგუფის—20 კაცის გვარები“.

ლაჯვიელი მსროლელები

1941 წლის მწარე, შავბნელ ზაფხულში სტრევედნენ ლატვიელები მშობლიურ მიწა-წყალს. ყოველი ჯარისკაცი ფიცსა სდებდა: ჩვენ დავბრუნდებით! სხვა საბჭოთა ხალხების მეომრების მხარდამხარ ლატვიელი მებრძოლები იცავდნენ მოსკოვს 1941 წლის სუსხიან ზამთარში, იბრძოდნენ სტარაია რუსასთან, დემიანსკთან, ნოვოსოკოლნიკისთან. წელს ლატვიელთა გვარდიული პოლკები, წარსული ბრძოლების გამოცდილებით გამდიდრებული, ლატვიის ტერიტორიაზე შევიდნენ. მათ გაიარეს ლატჰალია, ლუბანის დაბლობი, ვიძემის გორაკები და ბალდონეს ტყეები.

საბჭოთა ჯარებს შორის, რომლებმაც გაათავისუფლეს ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი რიგა, იყვნენ გენერალ ბრანტკალნის ლატვიელთა ნაწილებიც. მებრძოლებს, რომლებიც მშობლიურ დედაქალაქში შევიდნენ, სახე გათოლიანებული ჰქონდათ, მათს ტანისამოსს გზის მტვრისაგან რუხი ფერი დასდებოდა. ისინი მიდიოდნენ თავისუფლების ბულვარის, ქალაქის განიერი ქუჩებითა და მოედნებით, რომლებიც ხალხით იყო გაჭედილი. ხალხი წვიმასავით აყრიდა მებრძოლებს უამრავ ყვავილს.

ლატვიელი მსროლელები ბრძოლებით ათავისუფლებდნენ სამშობლო მიწა-წყალს. ისინი ხედავდნენ გადამწვარ, ჰიტლერელების მიერ გაპარტახებულ სოფლებს, ფაშისტების მიერ დანგრეულ გაუკაცრიელებულ ქალაქებსა და დაბებს. და მეომარი ლატვიელები ბრძოლაში მიეშურებოდნენ, ცდილობდნენ მოიახლონინათ საძულველ მტერზე გამარჯვების ჟამი.

მეავტომატეთა ოცეულის მეთაურმა გვარდიის ლეიტენანტმა სუნოპლიამ თავისი ქვეგანაყოფით ჩაუარა ხუტორ პასიენს, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა სამი წლის წინათ სუნოპლიამ აქ შშობლები და მახლობლები დასტოვა. რა დაემართათ? რა ბედი ეწიათ? ლეიტენანტს აღელვებდა ეს კითხვები, მაგრამ საბჭოთა ძეომარს გასაჩერებლად როდი სცალია.

— წინ, ამხანაგებო, წინ!—დროდადრო შესძახებდა იგი.—ნუ დარდობ, ჩემო მეგობარო ლაშდინშ, მალე შევიდეთ შინ. მაგრამ შევიდეთ უკან დაბრუნებისას...

და ოცეული კვლავ წინ მიდიოდა. ერთი წუთითაც სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა გერმანელებს. უტევდა რა მოწინააღმდეგეს, ხოლო ოფიცერ სტეტისთან, სადაც მტერმა სცადა ჩვენი შეტევა შეეკავებინა, გვარდიელი მეავტომატეები გააფთრებით გაეშურნენ იერიშზე, გერმანელთა სანგრებში შეიჭრნენ და ჰიტლერელთა ასეული მოსპეს. ლეიტენანტმა სუნოპლიამ ამ ბრძოლაში მტრის 12 ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი მოსპო. ამდენივე ჰიტლერელი გაქცეულა მისმა მეგობარმა გვარდიელმა ლაშდინშმ.

ერთ-ერთ ბრძოლაში ტყვიამფრქვევის გუნდის მეთაურმა გვარდიის სერჟანტმა პაკილსმა შორს წაიწია ტყვიამფრქვევიანად თავისი მსროლელი ქვეგანაყოფის წინ. მაგაცმა მეტყვიამფრქვევემ მტრის საცეცხლე წერტილი ჩაახშო, რამდენიმე ათეული ჰიტლერელი მოსპო და ამით უზრუნველყო თავისი ქვეგანაყოფის წარმატებითი წინსვლა.

მზვერავთა ჯგუფმა გვარდიის ლეიტენანტ პალესის მეთაურობით მტრის ძლიერ მცველ რაზმს შემოუარა და მოწინააღმდეგის დიდმნიშვნელოვანი კომუნიკაცია გადასჭრა. მზვერავი ლატვიელები მტრის ზურგში გავიდნენ, გარს შემოერტყნენ გერმანელთა გარნიზონს და გააფთრებულ ბრძოლაში რამდენიმე ასეული ჰიტლერელი გაელიტეს. ამასთან პალესის მებრძოლებმა მტერს წაართვეს რამდენიმე ზარბაზანი, ნაღმსატყორცნი და საომარი მასალებით დატვირთული ავტომანქანები.

მეომართა რიგებში მამაცურად იბრძოდნენ მოხალისე ქალიშვილებიც. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სნაიპერმა მონიკა მეიეშანმ, რომელმაც 69 ჰიტლერელი გაელიტა. ლატვიელ ქალიშვილს ლიესმა მილიუნასს—მისი სახელი ცეცხლის ალს ნიშნავს—ერთ-ერთ ბრძოლაში მტრის გააფთრებული სროლის დროს დაჭრილები გამოჰყავდა ბრძოლის ველიდან.

ლატვიელი მსროლელები ომრომბასა და ჩეჩაცობას იჩენდნენ და სამშობლო მიწა-წყალს სწმენდნენ გერმანელი დამპყრობლებისაგან. ბევრი მებრძოლი და ოფიცერი ჰოსპიტალს სტოვებდა, რომ მწყობრში დაბრუნებულიყო, დაჭრილებს ბრძოლის ველიდან გამოსვლა არ სურდათ. ესოდენ დიდი იყო შეტევითი სულისკვეთება ქვეგანაყოფებში.

ლატვიელი მსროლელები თავიანთი სამშობლოს დამპყრობლებთან ბრძოლებში საუკეთესოთან ანგარიშს უსწორებენ გერმანელებს. ახლოვდება გამარჯვების ჟამი. წითელი არმია ამთავრებს ჰიტლერელებისაგან ლატვიის განთავისუფლებას.

ა. არნოლდოვი

ლატვია, 3 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.).

საბოლოოდ მოვსპოთ ფაშისტი მხეცი მის ბუნაგში!

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა ხალხი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისთვის. ამ მოწოდებებში შეჯამებულია განვლილი გზის შედეგები და დასახულია მოქმედების საბრძოლო პროგრამა უახლოესი დროისათვის.

სახელოვანი გზა განვლო წითელმა არმიამ უკანასკნელ წელს. ძლევამოსილი ბრძოლებით საბჭოთა ჯარებმა სამშობლოს დაუბრუნეს უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ყირიმის, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის მიწა-წყალი. განვლილ წელს თავისუფლებისა და გამარჯვების დროშა კვლავ აფრიალდა მოკავშირე რესპუბლიკების შვიდ დედაქალაქში — კიევში, მინსკში, კიშინიოვში, პეტროზავოდსკში, ვილნიუსში, ტალინსა და რიგაში.

— საბჭოთა კავშირის მშრომელნო! წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან. გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ საბჭოთა სამშობლოს! გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას— განმათავისუფლებელ არმიას!

წითელმა არმიამ აღადგინა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრები. მაგრამ ამით როდი ამოიწურება ჩვენი არმიის — განმათავისუფლებელი არმიის ამოცანები. ჯერ კიდევ სამ წელიწადნახევრის წინათ ამხანაგმა **სტალინმა,** დაახასიათა რა ფაშისტურ გერმანიასთან ომის თავისებურებანი, სთქვა: „ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაიხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ“.

კვალდაკვალ სდევნის რა გერმანელ მხეცს, წითელი არმია შევიდა ევროპის ცხრა ქვეყნის ტერიტორიაზე, ანადგურებ, და სპობს მტერს, ჰიტლერული ტყვეობისაგან ათავისუფლებს სხვა სახელმწიფოთა ხალხებს, თავისუფლებას უბრუნებს საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც გერმანიის კატორღაში იტანჯებიან. საბჭოთა ქვეეშლების ძლევამოსილი გრგვინვა ისმის შორეულ ჩრდილოეთში — ნორვეგიაში. საბრძოლო მოქმედება გრძელდება უდიდესი ზანინის ფრონტზე — ბალტიის ზღვიდან ბალკანეთამდე. ჩვენს გამარჯვებებს შედეგად მოჰყვა ის, რომ ჰიტლერული გერმანიის ყოფილმა მოკავშირეებმა იარაღი შეაბრუნეს გერმანელების წინააღმდეგ. წითელი არმიის ნაწილები წარმატებითს ბრძოლებს ეწევიან იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, აღმოსავლეთ პრუსიის, ნორვეგიის ტერიტორიაზე. განმათავისუფლებელი არმიის მრისხანე ტანკები და ქვეითი ჯარი შეუკავებლად უახლოვდებიან უნგრეთის დედაქალაქს.

— გაუმარჯოს მამაც წითელ არმიას, რომელიც ანადგურებს ჰიტლერელ დამპყრობლებს გერმანიის ტერიტორიაზე! დიდი საბჭოთა სახელმწიფოს მეომრებო! წინ, დასავლეთისაკენ! საბოლოოდ მოვსპოთ ფაშისტი მხეცი მის ბუნაგში!

წითელი არმიის ისტორიულმა გამარჯვებებმა უფსკრულის პირას დააყენეს ჰიტლერული გერმანია. დასავლეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან გერმანია გარემოცულია ანტიჰიტლერული კოალიციის შემტევი ჯარების ფოლადის რკალით. გერმანიის ყველა ევროპელმა მოკავშირემ, გარდა უნგრეთისა, უკვე გასწყვიტა კავშირი ფაშისტურ გერმანიასთან. წითელი არმიის ისტორიულმა გამარჯვებებმა, რომლებიც მან მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე მოიპოვა, ხელსაყრელი ბაზა შეაქმნეს იმისათვის, რომ ახალი გამანადგურებელი დარტყმები მიავაყენოთ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საერთო მტერს.

ჩვენს გამარჯვებებს საფუძვლად უდევს მთელი საბჭოთა ხალხის თავდაფიცულობა და გმირობა, წითელი არმიის მამაცობა და მხედრული ოსტატობა. დიდი **სტალინის** გენიალ აღგზაფრთოვანებდა და მივყავდით გამარჯვებებისაკენ. ეს გამარჯვებები აიხსნება უმაღლესი მთავარსარდლობის უნარიანი სტრატეგიით, საბჭოთა გენერლებისა და ოფიცრების მოფიცრებული და გაბედული ტაქტიკით, საბჭოთა მეომრების გმირობითა და მხედრული გაწვრთნილობით, წითელი არმიის მძლავრი სამხედრო ტექნიკით.

მადლიერი სამშობლო დიდად აფასებს თავის საუკეთესო შვილთა დამსახურებას, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საბრძოლო საგმირო საქმეებით ან ფრონტისათვის თავდადებული შრომით. დღეს „პრავდაში“ იბეჭდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცრების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობის დაჯილდოების შესახებ. მთავრობის მაღალი ჯილდოებით აღნიშნული არიან ავრეთვე საბჭოთა ავიაციაცი კონსტრუქტორების კოლექტივები.

წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებანი შესაძლებელი გახდნენ იმის მეოხებით, რომ საბჭოთა ხალხი მიჰყავდა და მიჰყავს ლენინ-სტალინის პარტიას. ბოლშევიკური პარტია ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მშენებლობას. პარტია თავის საუკეთესო შვილებს გზავნიდა არმიის მეთაურთა კადრების განსამტკიცებლად. პარტიის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწენი წითელი არმიის სარდლები და მხედართმფროსები იყვნენ. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა შეჰქმნა ძლავრი წითელი არმია, მზრუნველობით გამოზარდა მისი მეთაურთა კადრები, უზრუნველყო იგი შესანიშნავი სამხედრო ტექნიკით.

არც ერთ პარტიას არ ჰქონია და არა აქვს ისეთი ავტორიტეტი ხალხის მასებში, როგორც ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას. იგი საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის დღეებში. პარტიის ავტორიტეტი ომის წლებში ისე გაიზარდა, როგორიც არასდროს არა ყოფილა. ათასობით და ათასობით საუკეთესო მებრძოლი და ოფიცერი, მოწინავე მუშები, გლეხები და ინტელიგენტები შევიდნენ ამ ძნელ დროს თავისი მშობლიური პარტიის რიგებში.

— გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის ხელისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ომი უკანასკნელ, მაგრამ ყველაზე ძნელ ფაზაში შევიდა. რაც უფრო უახლოვდება ფრონტი გერ

მომჭირნეობით ვხარჯოთ ელექტროენერგია, წესრიგში მოვიყვანოთ საწარმოთა ელექტრომეურნეობა

საწარმოთა ხელმძღვანელი აქტივის საქალაქო თათბირი

შემოდგომის თვეები და განსაკუთრებით ზამთარი ენერგეტიკულ მეურნეობაში წლის ყველაზე დაძაბული მუშაობის დროდ ითვლება, იმიტომ რომ წყლის დონე მდინარეებში დაბალია, აგრეგატების სრული დატვირთვით და განუწყვეტელი მუშაობა ძნელი მოსახერხებელი ხდება და ამის შედეგად ელექტროენერგიის გამომუშავებაც სხვა თვეებთან შედარებით დაბალია. მეორე მხრივ კი, შემოდგომა-ზამთრის სეზონში მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე ბევრად მეტია, ვიდრე, მაგალითად, ზაფხულში.

როგორ უნდა მოაწყონ საწარმოებმა თავიანთი მუშაობა, რომ შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში უზრუნველჰყონ თავიანთი თავი ელექტროენერგიით? ელექტროენერგია, როგორც ცნობილია, საწარმოთა მთელი მოწყობილობების მოძრაობაში მოყვანის მთავარი, ძირითადი ძალაა. ეს ძალა მომჭირნეობით უნდა ვხარჯოთ, მას უნდა გაუფრთხილდეთ.

ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვასთან, საერთოდ ჩვენი საწარმოების ენერგეტიკული მეურნეობის წესრიგში მოყვანასთან დაკავშირებული საკითხები დაწვრილებით იყო განხილული საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინიციატივით 2 ნოემბერს, საღამოს მოწვეულ თბილისის საწარმოთა დირექტორების, მთავარი ინჟინრების, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების და საწარმოთა ენერგომეურნეობების ხელმძღვანელ სპეციალისტთა საქალაქო თათბირზე.

თათბირი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

თბილისის საწარმოების ენერგომეურნეობების მდგომარეობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა თბილისის ელექტროდანადგართა სამმართველოს (თელასი) მთავარმა ინჟინერმა ამხ. გ. კუპრაძემ.

— საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე, — ამბობს მომხსენებელი, — საქართველოში აშენდა მრავალი დიდი სიმძლავრის ელექტროსადგური. ჩვენი ენერგეტიკული მეურნეობა წარმოუდგენლად გაიზარდა, მაგრამ მრეწველობის ზრდის ტემპები იმდენად სწრაფი და მაღალია, რომ ენერგეტიკული მეურნეობის შემდგომი გაშლისა და სიმძლავრეთა შემდგომი ზრდის საკითხი კვლავ მეტად აქტუალურია.

საწარმოთა ხელმძღვანელები, პირველ რიგში დირექტორები და საწარმოთა ენერგეტიკული მეურნეობების მუშაკები, მოვალენი არიან უზრუნველჰყონ ელექტროენერგიის მაქსიმალური მომჭირნეობით ხარჯვა. სამამოდ საჭიროა უპირველეს ყოვლისა მათ ჰყავდეთ კვალიფიციური ენერგეტიკოსები — ინჟინრები, მონტიორები და სხვა. წესრიგში იყოს მოყვანილი ელექტრომეურნეობა და აღმოიფხვრას ყველა ის მიზეზები, რაც იწვევს ელექტროენერგიის გადახარჯვას. ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის ამჟამად საქართველოს მრეწველობის საწარმოთა შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, მაგრამ ამ შეჯიბრებაში ყველა საწარმო ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული.

ზოგ საწარმოში, მაგალითად, თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში, მეორე სამკერვალო ფაბრიკაში, ბამბის ფაბრიკაში და ა. შ., ელექტროენერგიის დიდ მომჭირნეობას ეწევიან. აქ ბრძოლა მომჭირნეობისათვის გაადვილებულია იმიტომ, რომ როგორც ელექტროდანადგარები, ისე საქსელო გაყვანილობა სრულ წესრიგშია. მაგრამ არიან საწარმოები, სადაც სულაც არ სწუხან იმის გამო, რომ ელექტროგაყვანილობა უწესივრო მდგომარეობაშია. ეს კი ხშირად იწვევს ავარიებს და უბედურ შემთხვევებს. ამავე მიზეზით ზოგჯერ ადგილი აქვს საწარმოთა გაცდენასაც. 31 ოქტომბერს, მაგალითად, მაუდ-კამოლის ფაბრიკის საამქროები 1 საათით გაცდნენ იმის გამო, რომ ელექტროქსელი დაზიანებული იყო; თბილისის წყალსადენში ხუთჯერ მოხდა ამავე მიზეზით მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების შეფერხება.

ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის ცუდად მუშაობენ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა (ენერგეტიკული მეურნეობის უფროსი ინჟინერი გონჩაროვი), თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა (დირექტორი ამხ. ხითარიშვილი), კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა (დირექტორი ამხ. სარიშვილი) და სხვ.

მიმდინარე წლის განვლილი 9 თვის მანძილზე თბილისის მოწინავე საწარმოებმა 1 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს, მაგრამ ამასთან ერთად, ჩამორჩენილმა საწარმოებმა გადახარჯეს დიდძალი ელექტროენერგია და ამისათვის თელასს 9 თვის განმავლობაში 700.000 მანეთზე მეტი ჯარიმა გადაუხადეს.

ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვას, განსაკუთრებით ახლა, უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. თუ საწარმოთა ხელმძღვანელები ყურადღებით მოეკიდებიან ამ საქმეს, გასწევენ მაქსიმალურ ეკონომიას, მაშინ ელექტროენერგიით საწარმოებთან ერთად მოსახლეობაც იქნება დაკმაყოფილებული.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ინჟინერმა გონჩაროვმა (ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა), სარიშვილმა (კიროვის სახელობის ქარხანა), ინჟინერმა იაკობაშვილმა (მაუდ-კამოლის ფაბრიკა), ინჟინერმა ფხაკაძემ (სატრიკოტაჟო კომბინატი), გოგოძემ (ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტი), ინჟინერმა მონასლიძემ (ბამბის ფაბრიკა), სიხარულიძემ (ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანა), ბახტაძემ (თელასის დირექტორი) და დევიძემ (საქართველოს ენერგოსამმართველო).

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ელენი. მან დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის პრაქტიკულ საკითხებზე. საწარმოთა დირექტორებმა და განსაკუთრებით ენერგეტიკოსებმა დროულად უნდა შეასრულონ ელექტრომეურნეობის სარემონტო სამუშაოები. საჭიროა აგრეთვე მტკიცედ იქნას დადგენილი ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები პროდუქციის ერთეულის მიხედვით. საწარმოებში და მთელ მოსახლეობაში უნდა გაძლიერდეს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა. სიმძლავრეთა დაბალი კოეფიციენტისათვის, ჯარიმების გადახდამდე საქმე არსად არ უნდა იქნას მიყვანილი. ენერგეტიკული მეურნეობის დარგში ცუდი მუშაობისათვის საწარმოთა ხელმძღვანელებს სასტიკი პასუხი მოეთხოვებათ.

ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის საკითხებს ახლა განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება. საჭიროა ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, დღისით არ ვხარჯოთ ელექტროსინათლე — გავასუფთაოთ ფანჯრები, ელექტრო-ამატურა. ხშირად საამქრო მთლიანად არის გაჩარაღდნებული, მაშინ როდესაც, თუ მარტო სამუშაო ადგილებს გავანათებდით, ბევრად ნაკლები ელექტროენერგია იქნებოდა საჭირო.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებები ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

ვასილ ბარნოვი

(ბარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო)



მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო ვასილ ბარნოვის სალიტერატურო მოღვაწეობა. მწერალი გასაოცარი ენერგიით და ნიჭით მუშაობდა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. მაშინაც კი, როდესაც ღრმა მოხუცებულობის გამო თვითონ აღარ შეეძლო წერა, სხვებს უკარნახებდა მოთხრობებსა და რომანებს. მისი ნაწერები მთლიანად 20-25 ტომს შეადგენს.

სამწერლო მოღვაწეობა ვ. ბარნოვმა ლექსებით დაიწყო. უფრო ადრე პრესაში გამოქვეყნდა მისი საეთნოგრაფიო ხასიათის წერილები და კორესპონდენციები.

მხატვრული პროზიდან ვ. ბარნოვის პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა 1879 წელს სათეატრო „პირველი სკრიპკა“ (გადმოკეთებული მოთხრობა). 1893 წელს „კვალში“ გამოქვეყნდა მისი ორიგინალური ისტორიული მოთხრობა „პატარა ლევანი“. ამის შემდეგ ვ. ბარნოვის მხატვრული ნაწარმოებები განუწყვეტლივ იბეჭდებოდა ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში („ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „განათლება“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“ და სხვ.).

XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რომანის, როგორც სპეციფიკური მხატვრული ჟანრის განვითარება, დაკავშირებულია ვ. ბარნოვის სახელთან. ისტორიულ რომანებში მწერალმა გვიჩვენა საქართველოს ისტორიული წარსულის სერიოზული ცოდნა და ეპოქის მოვლენების ღრმად გაგება. ვ. ბარნოვი ავტორია მნიშვნელოვანი ისტორიული რომანებისა „ისნის ციხარი“, „სახიფათო სიყვარული“, „მიმქრალი შარავანდედი“, „ტრფობა წამებული“, „ხაზართა სასძლო“, „განგების რკალში“ (გიორგი საგაკაძე), „არმაზის მსხვრევა“, „ნათელმოსილნი“, „დეიოფანი ლტოლვიისა“, „ცოდვა ცაბუკისა“, „რაინდი სული“, „თამარ მრწემი“, „პირიმზე“ და „ისანდარი“. ამასთან ერთად ვ. ბარნოვმა დასწერა მრავალი კოლორიტული მოთხრობა ძველი თბილისის, ამქართა და ხელოსანთა, გლეხობისა და ინტელიგენციის ცხოვრებიდან.

ვ. ბარნოვი თავისი რომანების თემად იღებს საქართველოს ისტორიის კრიტიკულ მომენტებს (ომები, მტრების თავდასხმა, შინაგანი სახელმწიფოებრივი კონფლიქტი და სხვ.). წარსულის სახეებს იგი ისტორიკოსის დიდი ერუდიციით წარმოგვიდგენს. ცოცხალი შეგრძნობა ძველი, გარდასული ყოფისა და ადამიანებისა განსაკუთრებით არის მასში განვითარებული. მაგრამ იგი სინამდვილეს აკაბავს არა როგორც წარსულის ფილიანტების მძენელი, არამედ როგორც მეცნიერულ დონეზე მდგარი მხატვარი, შემოქმედი. ისტორიული მოვლენებიდან მწერალი ყოველთვის არჩევდა არსებითს. ტიპიურს. მან კარგად იცოდა, რომ ეროვნული შემოქმედი ცალკეულ მოვლენებში უნდა ასახავდეს ზოგადს.

ვ. ბარნოვი თავისი რომანებისა და მოთხრობებისათვის მასალას იღებს, საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი პერიოდიდან. მწერლის მკვეთრი ხელფა სწვდება ჩვენი წელთაღრიცხვის წინასაუკუნეებს და მოდის მეოცე საუკუნემდე. მისი რომანების მოქმედი პირები არიან: მირიან მეფე და ნანა დედოფალი, აშოტ კორპალატი და გრიგოლ ხანძთელი, დავით ნარინი, მეფე ლევანი და მამია გურიელი, გიორგი საგაკაძე და ალექსანდრე ბატონიშვილი, თამარ მეფე და ერეკლე მეფე, აგრეთვე საქართველოს ისტორიაში ცნობილი სხვა მრავალი გამოჩენილი პიროვნება.

ვ. ბარნოვის შემოქმედების დამახასიათებელია ღრმა პატრიოტიზმი. მისი მხატვრული ნაწარმოებები გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით, იგი ამაყობს თავისი ქვეყნის ისტორიით. მისთვის ნათელია, რომ ქართველობამ საუკუნეთა მანძილზე გამოატარა გმირობისა და ვაჟკაცობის იდეალი, სამშობლოს განუსაზღვრელი სიყვარულის გრძნობა: მრავალეროვნულ, მძიმე, დაძაბულ ბრძოლაში ქართველი ხალხი იცავდა თავის მიწა-წყალს, თავის დამოუკიდებლობას, თავის ენასა და კულტურას. ხალხი აქებს თავის გმირებს, რომელთაც ამშობლოს სახელი გაუთქვეს უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ არძოლით. ამიტომ არის, რომ ვ. ბარნოვის პერსონაჟებისათვის სამშობლოზე უძვირფასესი სიტყვა და გრძნობა არ არსებობს. სამშობლოს აყყვარულისა და დაცვის იდეა წარმართავს მისი ისტორიული რომანების გმირთა ცხოვრების აზრს.

ვ. ბარნოვი ყოველთვის მიხდენილად ავიარებს რომანის ფაბულას, მუდამ ხელში უჭირავს თხრობის ყველა ძაფი, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა (ზედმეტად გადაჭარბებული აღწერა, წიაღსვლები, სტატიკურობა და სხვ.). მას აქვს მდიდარი ფანტაზია, უნარი — დახატოს კოლორიტული სახეები, აღწეროს ბუნების თვალწარმტაცი სურათები. ტიპი ისახულია საუცხოოდ, განსაკუთრებით გარეგნული სილამაზის მხრით. ამა თუ იმ ისტორიული ან გამოგონილი პერსონაჟის გამოჩენა რომანში ყოველთვის დასაბუთებულია ფაბულის განვითარების აუცილებლობით. მდიდარი ფაქტიური მასალა და მოქმედ პირთა დიდი რაოდენობა ვ. ბარნოვის ყოველ ნაწარმოებში საფუძვლიანად არის ორგანიზებული. მისი რომანები აგებულია მტკიცედ, მთლიან და დასრულებულ არქიტექტურულ შენობად.

მწერალს მკითხველი თავიდანვე შეჰყავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ისტორიულ მოვლენათა მიმდინარეობაში. მოულოდნელად რომელიმე უჩვეულო სიტუაციის შექმნით იგი იტაცებს მკითხველს და შემდეგ არა თუ ანელებს დაძაბულ მდგომარეობას, არამედ, თანდათან აძლიერებს მას, და ამნაირად თხრობა წარმოადგენს არა უბრალოდ ერთმანეთის რიგრიგობით შეშცველ საინტერესო ამბებს, არამედ მზარდ და შინაგანად ერთმანეთთან დაკავშირებულ ვითარებათა ორგანიულ ცვალებადობას. ვ. ბარნოვი ნაწარმოებს თითქმის ყოველთვის დრამატულად ანვითარებს.

ახალ ქართულ ლიტერატურაში ვ. ბარნოვი აღიარებულია რიტმული პროზის ოსტატად. რიტმული პროზა სტილის ურთიერთსახეთაგანია და მწერალთა შორის მას მხოლოდ რჩეულნი ფლობენ. ვ. ბარნოვი, ეს შესანიშნავი ხელოვანი, განსაკუთრებული ოსტატობით ფლობს პოეტური მეტყველების ამ რთულ სახეს. მან მთელი სიძლიერით გამოავლინა ძველი ქართული ენის მუსიკალური ბუნება; ამასთანავე მას მეტად მდიდარი ლექსიკონი აქვს, თუმცა არქაიზმებით დამძიმებული. მაგრამ ასით არქაიზმებს ერთგვარი გამართლებაც აქვთ, ვინაიდან გვაძლევენ ეპოქის დამახასიათებელ ენობრივ კოლორიტს.

სამამულო ომის ვითარებაში განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა მოიპოვეს წარსულის იმ გმირებმა, რომლებიც ძლიერი აღტყინებით გამოხატავდნენ უკეთილშობილეს თვისებებს — განუსაზღვრელ სიყვარულს სამშობლოსადმი და მისთვის თავდადებას. ასეთ გმირებს გვიხატავდა ვ. ბარნოვი. სწორედ ამიტომ საბჭოთა მკითხველისათვის მახლობელი და საყვარელია მისი ისტორიული რომანები და მოთხრობები.

შალვა რადიანი

გეგმების შესრულება

თბილისის მტს-მა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. ხვნა, ფარცხვა, თესვა, მოსაღლის აღება და სხვა სამუშაოები, ნაცვლად 9.200 ჰექტარისა, შესრულებულია 10.043 ჰექტარზე.

სტახანოვური მუშაობით თავი ისახელეს მ. კოტორაშვილის, ა. აბრამიშვილის, მ. ჭელიძის და ა. კობიაშვილის სატრაქტორო ბრიგადებმა. კარგად იმუშავეს ტრაქტორისტებმა ქარუმიძემ, აბაუშვილმა, გოგიძემ, ოქაყმაშვილმა, ხუციშვილმა, ბანეთიშვილმა, ოსიაშვილმა, გუგუნაშვილმა, ბერუაშვილმა, ზაქარაიძემ, კახაბრიშვილმა.

მტს-ის კოლექტივმა იკისრა ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავროს. რემონტი უკვე დაწყებულია.

თბილისის მტს-ის დირექტორი
ავდიდ ჩარკვიანი

* * *

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა სილოსის დამზადების 1944 წლის გეგმა 20 ოქტომბრისათვის 100,3 პროცენტით შეასრულეს. ჩადებულია 5.518 ტონა სილოსი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.500 ტონისა.

მზრალად ხვნა და საშემოდგომო თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მიწსახკომის 1 ნოემბრის ცნობებით)

რაიონები	მზრალად ხვნის გეგმის შესრულება პროცენტებით	თვითთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროცენტებით	რაიონები	მზრალად ხვნის გეგმის შესრულება პროცენტებით	თვითთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროცენტებით
ქუთაისი		53,7	ქარელი	75,1	66 3
წყალტუბო		0.	გორი	66,0	100,9
სამტრედია		1,5	კასპი	32,8	80,0
წულუკიძე		3,5	ბორჯომი	50,0	50,0
ვანი		0.	წალკა	49,2	
მაიაკოვსკი		22,3	დუშეთი	19 9	100,0
ზესტაფონი		3,2	თეთრი წყარო	55,0	80,3
ჩხარი		0.	თიანეთი	28,3	100,1
ჭიათურა		65,0	გურჯაანი	13,3	58,1
საჩხერე		88,9	სიღნაღი	10,8	56,2
ორჯონიკიძე		107,0	წითელწყარო	29,8	64,2
ონი		76,7	თელავი	10,2	69,0
ამბროლაური		72,4	ყვარელი	25,1	67,3
ცაგერი		68,9	ლაგოდეხი	37,2	70,8
ქვემო სვანეთი		0.	თბილისი	57,0	101,7
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	83,2	56,8	მცხეთა	28,4	88,9
ახალქალაქი	72,9	105,0	ყარაია	22,0	70,0
ბოგდანოვკა	67,5		ბორჩალო	61,1	62,8
ახალციხე	71,0	72,0	ბოლნისი	19,7	54,8
ადიგენი	85,3	82,0	სავარეჯო	1,2	73,2
ასპინძა	127,5	91,0	ბაკურიანი	13,5	75,5
ხაშური	94,7	65,7			

დეკეფეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 3 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

კენტულ ვალხერენზე წინსვლა გრძელდება. მოკავშირეთა ჯარები, რომელნიც დასავლეთ კაპელედან უტევენ, დომბურგს გასცდნენ. სხვა ნაწილებმა მიაღწიეს ფლისინგენიდან ორ მილზე მდებარე პუნქტს. თვით ფლისინგენში და ვალხერენის ჯებირის დასავლეთ ბოლოზე გაფფრებული ბრძოლები გრძელდებოდა.

ლეოპოლდის არხის აღმოსავლეთით მტრის ყოველგვარი წინააღმდეგობა შესწყდა. მხოლოდ თვით ზეებრიუგეში გრძელდება მტრის წინააღმდეგობის კერების ლიკვიდაცია.

მეექვსე, რაინონში - მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს და ალეფანდი ... ...